

# ფეიქარი

## საქმიანობის შესახებ

სიტყვა ფეიქარი ქსოვილების დამამზადებელ ოსტატს ნიშნავს, რაც სრულიად თანხვედრაშია სოციალური საწარმოს საქმიანობასთან. “ფეიქარი” ბუნებრივი ნარჩენი ქსოვილისგან ქმნის ეკომეგობრულ აქსესუარებს. პროდუქციის შესაქმნელად გამოიყენება საბჭოთა კავშირის პერიოდში წარმოებული ბუნებრივი ქსოვილები, რომელთა რაოდენობა დღესდღეობით უკვე ლიმიტირებულია და ამასთანავე აუთვისებელიც. “ფეიქარის” **სოციალური მისიაა** საპენსიო ასაკის ადამიანთა ეკონომიკური/პიროვნული გაძლიერება მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და გარემოს დაცვა ძველი ხარისხიანი ქსოვილების მოპოვებითა და ხელმეორედ გამოყენებით.







## პროდუქცია

“ფეიქარი” ბუნებრივი ნარჩენი ქსოვილისგან აწარმოებს სხვადასხვა აქსესუარს, რომელიც მომხმარებელში მოწონებას იმსახურებს. პროდუქცია გამოირჩევა დიზაინის უნიკალურობითა და თანამედროვეობით. ჩამონათვალშია:

- ჩანთა
- თმის სამაგრი
- თავსარტყელები და ა.შ

## სოციალური შედეგები

- სოციალურ საწარმოში დასაქმებულია საპენსიო ასაკის 3 ადამიანი
- დაარსების დღიდან “ფეიქარმა” შეძლო დიდი ოდენობის ბუნებრივი ნარჩენი ქსოვილის ხელმეორედ გამოყენება, რითაც შემცირდა ნაგავსაყრელზე მათი მოხვედრა. დამატებით, ძველმა ქსოვილებმა განახლებული ფუნქცია და გამოყენება შეიძინა.





+995 595 291 532

t.peikari@gmail.com

www.facebook.com/Peikari

ნუცუბიძის 77ბ., თბილისი